

კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიები IX კლასის მაგალითზე

გვანცა ქარდავა
თინათინ წიწილაშვილი
ანა მინაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ტექნოლოგიებისა და განათლების
ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მიმართულების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოღაძე, მოწვეული მასწავლებელი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის „კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიების“ ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გვანცა ქარდავა

თინათინ წიწილაშვილი

ანა მინაძე

23.06.2019წ.

აბსტრაქტი

აღნიშული ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ შესრულებულ პრაქტიკის კვლევას, თემაზე: „კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიები“. კვლევა ჩატარდა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდით. მოცემული პრაქტიკის კვლევა განხორციელდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-9² კლასში, კერძოდ სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის საგანზე.

კვლევის მიზანია მოსწავლეთა ქცევის თვითკონტროლითა და მასწავლებელთა სწორი დამოკიდებულებით კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება, რაც, თავის მხრივ - დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნულ კლასში გასულ წელს ჩატარდა პრაქტიკის კვლევა, დინამიკაში განვითარებისათვის ადმინისტრაციის მხრიდან შემოთავაზებული იქნა იგივე კლასი.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა სახის კითხვარი მასწავლებლებთან. გამოკითხვა ჩატარდა დიაგნოსტიკის ეტაპზე, რის შედეგადაც დაიგეგმა ინტერვენციები. ჩვენ მიერ, განხორციელებული ინტერვენციის საშუალებით, რომელიც მეცხრე კლასში ჩატარდა, საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიები. ყოველივე ამის შემდეგ ვაწარმოეთ ჩართული დაკვირვება, სადაც გამოიკვეთა პრაქტიკის კვლევის შედეგები.

კვლევის ჩატარების შედეგად მივიღეთ, რომ პედაგოგებთან ნაწილობრივ გაიზარდა კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება და მოსწავლეებთან გაიზარდა ქცევის თვითკონტროლი, რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზეც.

საკვანძო სიტყვები: კლასის მართვა, ეფექტური სტრატეგია, აკადემიური მოსწრება.

Abstract

The present work presents the action research about "Effective class management strategies" held in the ninth class of the public schools in Tbilisi, particularly, on the subject of civic education and history.

The purpose of the research is to develop effective strategies for class management by self-control of students and teacher's accurate approaches towards the student behaviors, which in turn will be positively reflected on students' academic achievement. Even though the similar action research has been carried out in the above-mentioned class previous year administration offered the same class for observation of development in dynamics.

Different types of questionnaires were used in the research process. The teacher's interview questionnaire has been elaborated by us, while the most part of focused observation questionnaire on class management and communication is translated from published studies of the International Scientific Journal. The survey was conducted at the diagnostic stage, while after interventions were planned.

After conducting the research, we expect to get teachers and students with effective class management strategies, where self-controlled behavior and positive academic performance will be raised.

Key word: Class management, Effective strategy, Academic performance

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება შეუძლებელი გახდებოდა რომ არა ჩვენი ხელმძღვანელის, პროფესორ ქეთევან თოდაძის, ადამიანური თუ პროფესიული მხარდაჭერა. ქალბატონი ქეთი მნიშვნელოვან რჩევებს და რეკომენდაციებს გვაძლევდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე: როგორც საკვლევი საკითხის შერჩევა-დამუშავებზე, ინტევენციებსა თუ მუშაობის ტექნიკებზე, ასევე საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე.

მადლობას ვუხდით მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრ პედაგოგს თეიმურაზ სუყაშვილს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი პრაქტიკის კვლევაში. კერძოდ კი - ჩვენი თხოვნით, მასწავლებლებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და შესთავაზა მის მიერ უკვე კარგად ნაცადი და აპრობირებული მეთოდები და მიდგომები. რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.

აგრეთვე, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალაქ თბილისის იმ საჯარო სკოლას, სადაც ჩვენ ვმუშაობდით. სკოლის დირექტორს, მასწავლებლებსა და თავად მეცხრე კლასის მოსწავლეებს იმ დიდი დახმარებისათვის, რაც მათ ჩვენთვის გაიღეს. ყველას მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილეობისა და თანადგომისათვის.